ქრისტინე ზუბცოვა I გიორგი მელაშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
kzubt21@freeuni.edu.ge I george.melashvili@freeuni.edu.ge

თანამედროვე თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების კონსტრუქტივისტული ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში

რეზიუმე

თანამედროვე თურქეთი ერთ-ერთ უდიდეს ძალას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე. ის დიდი გავლენით სარგებლობს შავი ზღვის რეგიონზე - ის წარმოადგენს ნომერ პირველ სამხედრო ძალას რეგიონში. გარდა ამისა, ის გახლავთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი წევრი, რაც ზრდის მის როლს გლობალურ კონტექსტში.

2022 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი დიდ საფრთხეს უქმნის შავი ზღვის რეგიონს და, შესაბამისად, ის საფრთხეს წარმოადგენს რეგიონული ლიდერისთვის - თურქეთისთვისაც. აღნიშნული ომის ფარგლებში, თურქეთი პოზიციონირებს, როგორც ერთგვარი მედიატორი რუსეთსა და უკრაინას შორის. მისი საგარეო პოლიტიკა არაერთგვაროვანია - ის აქტიურად უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, თუმცა ამავდროულად, ის აგრძელებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას რუსეთთან.

თურქეთის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხშირად ხდება კრიტიკის საგანი დასავლეთში. ერთი მხრივ, ევროკავშირი აქტიურად მოუწოდებს თურქეთს, რომ შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს თურქეთის რუსეთის მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით; მეორე მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომმა ცხადყო რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის მასშტაბი, მისი იმპლიკაციები ევროპის კონტინენტისთვის და ამავდროულად - თურქეთის როლი აღნიშნული კონფლიქტის მართვაში.

ევროკავშირისა და თურქეთის ისტორია ათწლეულებს ითვლის, რომლის მანძილზეც მას არაერთი ცვლილება განუცდია. საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის თეორია გვაძლევს საშუალებას, აღნიშნული ცვლილება სიღრმისეულად გავაანალიზოთ. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა თვით-იდენტობა დიდ როლს ასრულებს მათი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. თურქეთის თვით-იდენტობა, პირველ რიგში, უკავშირდება შავი ზღვის რეგიონს. მისთვის რეგიონალური ლიდერობის დაკარგვა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეგზისტენციალურ საფრთხეებთანაა დაკავშირებული. ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული ომი ასევე დიდ რისკს წარმოადგენს ევროკავშირისა და მისი ერთიანი იდენტობისთვის. რუსეთ-უკრაინის ომი განსხვავებულ ჭრილში გვიჩვენებს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობას. ის გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სახელმწიფოები თუ ინსტიტუტები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, უპირველეს ყოვლისა, მათი თვით-იდენტობისა და მათ მიერ სხვა სახელმწიფოს სოციოლოგიური აღქმიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, ევროკავშირი, რუსეთ-უკრაინის ომი, კონსტრუქტივიზმის თეორია

შესავალი

თანამედროვე თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო აქტორია როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ კონტექსტში. მისი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით. ის წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. გარდა ამისა, მას მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია უჭირავს შავი ზღვის რეგიონში, სადაც ის ამა თუ იმ ხელშეკრულებითა და შეთანხმებით განსაზღვრული საკმაოდ სერიოზული გავლენით სარგებლობს. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთი საყურადღებოა მისი სამხედრო შეიარაღების თვალსაზრისითაც, ის რეგიონის ნომერ პირველ ძალას წარმოადგენს, ხოლო გლობალურად ის მე-8 ადგილზეა (Warpower: Turkiye 2025), რაც ქმნის ძლიერ ფუნდამენტს იმისთვის, რომ ის აღქმული იყოს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე ღირებული სახელმწიფოა დასავლეთისთვის. ის რეგიონი, სადაც თურქეთი მდებარეობს და რომელზეც მას მოწინავე პოზიცია უჭირავს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის, ვინაიდან ის აერთიანებს ყველა იმ აქტორს, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა აღნიშნული რეგიონის გლობალური მნიშვნელობა და განსაკუთრებით, თურქეთის როლი რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

2022 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი თანამედროვე პოლიტიკური სივრცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. მან მთლიანად შეარყია საერთაშორისო სისტემა და გახდა უამრავი ცვლილების მიზეზი მსოფლიო წესრიგში. აღნიშნული ომი განსაკუთრებით საყურადღებოა თურქეთისთვის, ვინაიდან ის უშუალო სამეზობლოში მიმდინარეობს და მოიცავს ისეთ სახელმწიფოებს, რომლებთანაც თურქეთს მრავალი ისტორიული, პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორი აკავშირებს. რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, კიდევ უფრო ნათელი გახდა ის, თუ რის მიხედვით ოპერირებს თურქეთი და რა წარმოადგენს მის მთავარ მიზანსა და ღირებულებებს. ის არაერთგვაროვან პოლიტიკას ატარებს, ირგებს ერთგვარი მედიატორის როლს და ინარჩუნებს ურთიერთობას როგორც რუსეთთან, ასევე უკრაინასთან და დასავლეთთან, რაც ხშირად ხდება აზრთა სხვადასხვაობისა და კრიტიკის მიზეზი საერთაშორისო მასშტაბით.

თურქეთ–ევროკავშირის ურთიერთობის ცვლილება და მისი მიზეზები

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობა სათავეს ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს, როდესაც ევროკავშირი, იმ სახით, რა სახითაც ჩვენ დღეს მას ვიცნობთ, არც არსებობდა. შესაბამისად, ამ ორი აქტორის ურთიერთდამოკიდებულების ასახსნელად, საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის თეორია მნიშვნელოვნად გვეხმარება. ევროკავშირი შეიქმნა ევროპის კონტინენტის სახელმწიფოების საერთო ინტერესების გარშემო - იმ ისტორიულმა კონტექსტმა, რომელიც წინ უძღვის მის დაარსებას, მნიშვნელოვნად განაპირობა ერთიანი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბება. აღნიშნული იდენტობა პირდაპირი შედეგია კოლექტიური ტრავმისა, რომელიც გახდა ერთგვარი კოლექტიური დაუცველობის განცდის მიზეზი. აღნიშნულმა შემდგომ ჩამოაყალიბა ერთიანი ევროპული იდენტობა. სწორედ ამ იდენტობის წყალობით შეიქმნა ერთიანი სისტემა - ევროკავშირი, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს დღემდე ერთიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს.

კონსტრუქტივიზმის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაშრომში ალექსანდრ ვენდტის ავტორობით ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოები საკუთარ თვით-იდენტობას სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში

განსაზღვრავენ (Wendt 1992:397-398). ისინი ამა თუ იმ მოვლენასა თუ აქტორს მნიშვნელობას ისევ და ისევ საკუთარი იდენტობიდან და დამოკიდებულებიდან ანიჭებენ (Wendt 1992:397-398). ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, ამჟამინდელი რუსეთი (და სსრკ-ს არსებობისას, სსრკ) ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ევროპის უსაფრთხოებისთვის. სწორედ საბჭოთა კავშირის დაბალანსების მიზნით შეიქმნა იმ ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რომელთაც დღეს ვიცნობთ. ეს ფაქტი ევროპული კოლექტიური მეხსიერებიდან არასდროს ამოშლილა. მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირის საპასუხო ქმედებები რუსეთის მიმართ იყო სუსტი და შემოიფარგლებოდა დიპლომატიური მცდელობებით, ევროკავშირი უფრთხოდა რუსეთს, უბრალოდ მიდგომა ჰქონდა უფრო შემკავებლური ხასიათის, ვიდრე ახლა, 2022 წლის შემდეგ.

თურქეთის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ძალიან არ განსხვავდება ევროკავშირისგან, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკური მოქმედებები სხვა რამეს გვიჩვენებენ ზედაპირულ დონეზე. საქმეც იმაშია, რომ თურქეთის რუსეთისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა მხოლოდ იმით, თუ რა ეკონომიკურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებს ის დღეს მასთან მიმართებით, არის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მხოლოდ ზედაპირი, მისი პირველი დონე. ეს საკითხი ძალიან კომპლექსურია და მის გასაგებად აუცილებელია, ჩავიდეთ მის სიღრმეებში. თურქეთს რუსეთის მიმართ უნდობლობა აქვს, რაც, მსგავსად ევროკავშირისა, განპირობებულია მისი კოლექტიური მეხსიერებით (Gaber 2023).

თურქეთის დაშორება რუსეთთან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში განპირობებული იყო რუსეთის მზარდი ინტერესით შავი ზღვის რეგიონსა და თურქულ სრუტეებზე. რუსეთი ძალიან დიდი ძალაა შავი ზღვის რეგიონში. მიუხედავად ამისა, თურქეთი დღესდღეობით თავისი სიძლიერითა და გავლენით, აღემატება რუსეთს და ინარჩუნებს თავის როლს, როგორც ცენტრალური სახელმწიფო შავი ზღვის რეგიონზე და მთავარი შემაკავებელი ძალა რუსული ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ. (Gaber, Lewis and Herd 2023)

თურქეთი ყოველთვის ინდივიდუალისტური იყო. ის ყოველთვის ყველა გადაწყვეტილებას იღებდა ავტონომიურად და გამომდინარეობდა საკუთარი ინტერესებიდან. ამის ნათელი მაგალითია 2006 წელი, როდესაც ევროკავშირმა თურქეთს მოლაპარაკების 8 პუნქტი დაუბლოკა, რომლის მიზეზი გახდა თურქეთის მიერ კვიპროსის აღიარებასთან დაკავშირებით გაცხადებული უარი. იმის მაგივრად, რომ თურქეთს გაეთვალისწინებინა ევროკავშირის კრიტიკა და კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მისი მთელი დამოკიდებულება შეიცვალა ევროკავშირის მიმართ. ანტი-ევროპულმა სენტიმენტმა იმატა როგორც ხელისუფლებაში, ისე მოსახლეობაში. (Goff-Taylor 2017:6-7) გარდა ამისა, თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას მის ევროინტეგრაციის გზაზე წარმოადგენს მისი ურთიერთობა საბერძნეთთან. ამის მიუხედავად, თურქეთი ისევ ავლენს საკუთარ პრინციპულობას. ის არასდროს მიიღებს ისეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს მაშინაც კი, თუკი ეს გადაწყვეტილება მოსაწონი იქნება დასავლეთისთვის. თურქეთი საკუთარ პრინციპებს და საკუთარ თურქულ იდენტობას ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას. ეს დღესაც ასეა. მზარდი რუსული გავლენა საშიშია თურქეთის იდენტობისთვისა და მისი სამომავლო პერსპექტივისთვის.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია თურქულ და ევროპულ იდენტობასთან დაკავშირებით და მათი ცვალებადი ხასიათის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ამ ორი აქტორის სოციალურად კონსტრუირებული თვით-იდენტობა და მათ მიერ განსაზღვრული როლები. თურქეთი ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაც საჭიროა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის - ანუ ის არ იზიარებს საერთო ევროპულ იდენტობას. მას მკაცრად თურქული იდენტობა აქვს. ეს იდენტობა ყოველთვის საკმაოდ ძლიერი იყო და ის გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი საგარეო საქმეების წარმოების პროცესში. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ინარჩუნებს ურთიერთობას.

შეიძლება დისტანცირებულს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ურთიერთობას თურქეთთან. ის იაზრებს, რომ თურქეთის როლი საკუთარი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო ნათელი გახადა მსგავსი დამოკიდებულება ევროკავშირსა და თურქეთს შორის. დღესდღეობით, თურქეთის შიდა პოლიტიკური სკანდალებიდან და მისი არაორდინალური, თუმცა მისთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ მის ნომერ პირველ პრიორიტეტს ამ ეტაპზე არა თუ ევროკავშირში გაწევრიანება, არამედ საკუთარი როლისა და პოზიციის შენარჩუნება წარმოადგენს საკუთარი თურქული იდენტობის გადასარჩენად.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით, თანამედროვე თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში კომპლექსურია და ის ეფუძნება იმ სიღრმისეულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რომლებიც წლებისა და დეკადების განმავლობაში აყალიბებდნენ თითოეული აქტორის დღეს არსებულ იდენტობას. სახელმწიფოებრივი იდენტობის კონსტრუირება ხდება სოციალურად და ისტორიული პროცესით, რომელიც წლებსა და საუკუნეებს ითვლის. აღნიშნული იდენტობები გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მამოძრავებელი ბირთვი. საერთაშორისო სისტემა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი დიდი სივრცე, სადაც ყველა სახელმწიფო მოთამაშეა და ყველას თავისი როლი აქვს. ამ როლის მიხედვით, ყველა სახელმწიფო ირჩევს თავის მოკავშირესა და მტერს და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც შესაბამისობაში მოდის მის მიერ განსაზღვრული საკუთარი თავის იდენტობასა და მისით კონსტრუირებულ ინტერესებთან.